სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #103/ზ. ჭავჭავაძის ქ. #2-ში მდებარე შენობის (თოჯინების თეატრი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #3

ქ. თბილისი 07.04.2015წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნიკოლოზ ანთიძე - გენერალური დირექტორი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
პაატა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე, საკონკურსო კომისიის წევრი.
გიორგი სოსანიძე - ძეგლთა რეაბილიტაციის საპროექტო სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
გიორგი გორდელაძე - გენერალური დირექტორის მრჩეველი, საკონკურსო კომისიის წევრი.
გიორგი მისრიაშვილი - კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა-დოკუმენტირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის წევრი.
დიანა ბოლოთაშვილი - ძეგლთა შეფასება-რეაბილიტაციის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ზუგა გოგაძე – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი – შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე.
ეკატერინე ბოლქვაძე – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი – შესყიდვების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #103/ზ. ჭავჭავაძის ქ. #2-ში მდებარე შენობის (თოჯინების თეატრი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2015 წლის 25 მარტს გამოცხადებული N 1569 კონკურსზე კონკურსანტის შპს „არქიტექსი"-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

კომისიამ მოისმინა:

> კომისიის წევრის დ.ბოლოთაშვილის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ 2015 წლის 01 აპრილის #10/08/2/556 წერილის შესაბამისად ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #103/ზ. ჭავჭავაძის ქ. #2-ში მდებარე შენობის (თოჯინების თეატრი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით

გამოცხადებულ N 1569 კონკურსში მონაწილე კონკურსანტმა შპს „არქიტექსი"-მ ა/წ 06 აპრილს სააგენტოში წარმოადგინა დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაცია.

კომისიამ განიხილა:

შპს „არქიტექსი"-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაცია: საკონკურსო განცხადების პუნქტი 6.3.4-ით გათვალისწინებული სადემონტრაციო მასალა: 1.შენობის არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება; 2.ძეგლის დაზიანებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და კონცეფციის შემუშავება; რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის.

შპს „არქიტექსი"-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტების განხილვის დროს დადგინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. კომისიის ყველა წევრი მომხრეა მიღებულად ჩაითვალოს კონკურსანტის შპს „არქიტექსი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის შპს „არქიტექსი"-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #103/ზ. ჭავჭავაძის ქ. #2-ში მდებარე შენობის (თოჯინების თეატრი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „არქიტექსი".

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - „გამარჯვებული გამოვლენილია";

4. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #103/ზ. ჭავჭავაძის ქ. #2-ში მდებარე შენობის (თოჯინების თეატრი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში (2015 წლის 16-17 აპრილს) გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება;

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტს შპს „არქიტექსს“.

კომისიის თავმჯდომარე	/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/გიორგი სოსანიძე/
კომისიის წევრი	/გიორგი გორდელაძე/
კომისიის წევრი	/დიანა ბოლოთაშვილი/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/
კომისიის აპარატის წევრი	/ეკატერინე ბოლქვაძე/

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/08/2/604 "07" 04 2015წ.

შპს „არქიტექსი"-ს

გაცნობებთ, რომ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს საკონკურსო კომისიამ განიხილა ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #103/ზ. ჭავჭავაძის ქ. #2-ში მდებარე შენობის (თოჯინების თეატრი) რეაბილიტაციის დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსში N1569 თქვენს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო წინადადება. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამოვლინდით გამარჯვებულად.

გთხოვთ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში 2015 წლის 16-17 აპრილს მობრძანდეთ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ში „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების გასაფორმებლად მისამართზე: ქ.თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ ანთიძე

თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. 2 932 411, 2 932 394; ფაქსი (+995 32) 2 932 394
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Georgia. Fax (+995 32) 2 932 394, Phone 2 932 411, 2 932 394
www.heritagesites.ge